



gazeTi gamodis  
1931 wl is 5 ianvridan

# ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი [www.alion.ge](http://www.alion.ge)

ყოველკვირეული გამოშვება  
ფასი 30 თეთრი

## „ოზურგეთის ზაფხულის საღამოები“

გაზეთი „ალიონი“



26-28 აგვისტოს ქ. ოზურგეთის მერიამ ოზურგეთელებს საინტერესო პროგრამა შესთავაზა. სამი დღის განმავლობაში ქალაქის ცენტრში, „ჭადრების ბაღში“ იმართებოდა გასართობი ასპარეზობები: მკლავჭიდი, ჭადრაკი, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი, აღმოსავლური ორთაბრძოლის საჩვენებელი გამოსვლები. გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში, ველო-რბოლა. პატარებისთვის წარმოდგენილი იყო თოჯინების სპექტაკლი. კულტურულ პროგრამაში მომაწილებდნენ ანსამბლები: „მუხამბაზი“, „ლურჯი იაღჭანი“, „გურია“.

დასკვნით დღეს თეატრალურ მოედანზე „თეატრალური კვარტეტის“ კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილი და მოღერალი ცისანა სეფიაშვილი.

დასკვნითი კონცერტის დაწყების წინ ქალაქის მერმა **ბემზარ სირიძემ** განაცხადა: - მიხარია, რომ ჩემს ქალაქს გამომცხვლებულს ვხვდავ. ასევე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ღონისძიებაში მისივე მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, ეს სამი დღე ყველა თქვენს დაბავს სწორედ ასე მოეწონება. მართი რაღაც მინდა გითხრა: - წინასწარ ჩემთვის გამაჩნია არც ისე დიდი ხანია დასრულებულია, მაგრამ მაინც ვღელავ, როდესაც თქვენს წინაშე გამოვდივარ. ჩემი ნერვიულობა გაბრძნობა მანამ, სანამ იმ დაპირებებს არ შემიხრულვით, რაც დაგვიპირდით.

კონცერტის შემდეგ ქალაქის მერი მოწვეულ სტუმრებს თბილისიდან, რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან, ასევე ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებს საბანკეტო დარბაზ „ელეგანტი“ გაუმასპინძლა, რომელიც შემდეგ ფიერებებით დასრულდა.

## ტრადიციული დღესასწაული „ასკანობა“ კვლავ გაიმართა

გაზეთი „ალიონი“



მიუხედავად უამინდობისა, ასკანობა მორიგი „ასკანობა“ ლამაზად ჩატარდა. საზეიმო წირვა გაიმართა ასკანის ამაღლების სახელობის ტაძარში.

შემდეგ საზეიმო მოედანზე ასკანელი და მზიანელი ფეხბურთელები გამოვიდნენ. ორთავე გუნდი ბოლომდე დაინარჯა და ძირითად დროში ანგარიში 4:4 დაფიქსირდა. მსაჯმა აქცენტები ქუთათელაძემ პენალტების სერია დანიშნა, სადაც 3:2 ასკანობა გაიმარჯვეს. ბიზნესმენმა ზაურ ჩხაიძემ გამარჯვებულ გუნდს სპეციალური თასი გადასცა.

მკლავჭიდიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქვენონის მცხოვრებმა დავით ადაძემ გაიმარჯვა.

წვიმა როგორც კი შეწყდა სცენაზე ოზურგეთის სახელმწიფო ანსამბლ „გურიას“ მოცეკვავეები გავიდნენ. მათ რამდენიმე ცეკვა შეასრულეს.

მრავალრიცხოვანი მსმელის მოწონება დაიმსახურა მომღერალმა თამა ცეცხლაძემ...

სოფ. ასკანას სტუმრობდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე.

„როიად ასკანას“ მშენებლობის დათვალეობისას ბიზნესმენმა ზურაბ ჩხაიძემ თქვა, რომ მშენებლობა გრაფიკის მიხედვით მიდის, მან პროექტის ავტორებს რამდენჯერმე დააჯილდოვებინა შენობის არქიტექტურული სახე და ფიქრობს, რომ ასკანა უცხოელი ტურისტებისთვის საინტერესო ადგილი გახდება. შეიძლება ტურისტების ვერტიფერით გადმოყვანაც.

- ძალიან მნიშვნელოვანია სოფ. ასკანის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სასმელი წყლის ქსელს სახელმწიფო აკეთებს. ბიზნესმენებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ სოფლის კეთილმოწყობის საქმეში. მომავალ წელს ასკანას აუცილებლად ექნება ასფალტირებული გზა - განაცხადა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ მიდის ფერმერებისათვის დაპირებული ვენახის ნერგების დარიგების საქმე - გვიპასუხა: - მიუხედავად იმისა, რომ წელს ჯილაურას სანერგე მუერნობა ვერ გვაწვდის დაპირებული ოდენობის რამდენიმე სახის ნერგს, წელს შემოდგომაზე და მომავალ გაზაფხულზე გლეხებს უფასოდ დაურიგდებათ „ჩხავერის“, „ცოლიკაურის“, „ჯანის“ ნერგები. მომავალ წელს ღვინის მარანი უკვე ყურძნის მიღებას დაიწყებს.

ზურაბ ჩხაიძემ მიულოცა 12 ასკანელი ოჯახს შეიღობილი შექენა და წელსაც მათ მის მიერ დაწესებული ფულადი დახმარება გადასცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ ასკანლებს წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება ალუთქვა.



## გზაგადასასრული მთავრობას მიმართავენ

ნუზარ ასათიანი



ბანზაროს და გომისძის საძოვრებს რეგიონის მეცხოველეობის განვითარებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ზაფხულობით ოზურგეთის საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის სული მსხვილფეხა პირუტყვი მიჰყავდათ ბაისურას, სომლიას, საძელოს, ლაშისკარაის, ნაღვარეის, მგელის საწოლის და სხვა ადგილებში. შრომელები უფრო შორსაც მიდიოდნენ და ზაფხულობით მათი მომთაბარე ფერმა შუაგორაში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, ზემო სურები) იდგა.

იმეობა ძალზე დიდი დარტყმა მიაყენა მომთაბარე მეცხოველეობას. საზოგადოებრივი მეურნეობები გაუქმდა, ჯერ კიდევ ამ მეურნეობის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, „ჩაღის ფასად“, დროებით სარგებლობაში გადასცა მათი ფერმის შენობა და ტერიტორია მიმდებარე რეგიონის კერძო პირებს.

კერძო მეცხოველეობა ოზურგეთიდანაც დადიოდნენ მთაში. დღესაც მოქმედებს ბაისურაზე მესხიების, ხინთიბიძეების, ჯანელიძეების კარვები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მომთაბარე მეცხოველეობაში უფრო წარმატებულნი მეზობელი რეგიონის მეცხოველეები და ასევე აჭარის ზემო რეგიონიდან და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტიდან ოზურგეთში გადმოსული მოსახლეობაა.

ბაისურაში კერძო მეცხოველეების კარვები გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მომრავლდა. აჭარელი მოსახლეობა აქ არა მარტო მეცხოველეობას ეწეოდა, კარტოფილი და სხვა კულტურებიც მოჰყავდათ, რამაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ ბაზრის უცხო ქვეყნებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისგან დაცვაში.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>მზიანი</b> +19+29	<b>მზიანი</b> +20+32	<b>მზიანი</b> +21+32	<b>მზიანი</b> +22+31	<b>მზიანი</b> +21+29	<b>მზიანი</b> +20+30	<b>მზიანი</b> +19+29
1 სექტემბერი ორშაბათი	2 სექტემბერი სამშაბათი	3 სექტემბერი ოთხშაბათი	4 სექტემბერი ხუთშაბათი	5 სექტემბერი პარასკევი	6 სექტემბერი შაბათი	7 სექტემბერი კვირა





# გურიის მხარის საზოგადოებას !

ღრმად პატივცემული ქალბატონებო და ბატონებო! გვინდა მოგმართოთ გურიის რეგიონის შემსწავლელი სამეცნიერო ჯგუფის სახელით. დღეს ისე როგორც არასდროს აქტუალურია ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისადმი ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების ზრუნვა. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ითხრება უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით გურიის რეგიონზე. არა და მხოლოდ ვაშნარის ციხე-ქალაქი (IV-VIII სს.), ჩონჩხათ მოედნის კასტელუმის სასიმაგრო სისტემა და ბუკისციხე საშუალო ევროპული ქვეყნის საეზიტო ბარათი და ტურიზმის განვითარების დიდი სტიმული გახდებოდა. იმედია ადგილობრივი ხელისუფლება კარდინალურად შეცვლის სიძველეთა შესწავლისადმი დამოკიდებულებას, განიხილავს ჩვენს მიერ მუნიციპალიტეტების მიხედვით წარმოდგენილ ძეგლების შესწავლის გეგმა-პროექტს და რეგიონის ბიუჯეტში გათვალისწინებს ზემოთდასახელებული ძეგლების, მათ შორის განსაკუთრებით ვაშნარის კვლევითი აუცილებელ თანხებს.

სამეცნიერო ჯგუფის სახელით:  
**ვაჟა საღრაძე**- პროფესორი, ისტ. მეცნ. დოქტორი  
**მირაბ ძნელაძე**- პროფესორი, ისტ. მეცნ. დოქტორი

## თამარ შანიძე დახმარებას ითხოვს

გაზეთი „ალიონი“

სოციალურად დაუცველ თამარ შანიძის ოჯახი სოფ. ბაღდადში (კენჭისპირი) სოფ. ცხემლისხიდის მაჟორიტარ დეპუტატ ლალი სიჭინავასთან ერთად მოვიხარხარეთ.

—მუდღე გარდამეცვალა. 85 წლის დედამთილთან და 25 წლის უმუშევარ შვილთან ვცხოვრობთ ამ ავარიულ სახლში. კი ვლუბობ სოციალურ დახმარებას და მე-2 ჯგუფის ინვალიდობის პენსიას 100 ლარს, მაგრამ ეს მართლაც წამლებს სჭირდება. წელს თხილის მოსავალი ქარიშხალმა გაგვინადგურა. რა უნდა ვქნათ..

—მუნიციპალიტეტის გამგეობა არ დაგეხმარათ?

—კი იყენენ, თქვენ სასურავს შეგიცვლითო. მოიტანეს თუნუქი და ლურსმანი და წავიდნენ. კეთხე, ხის მასალა რატომ არ მოიტანეთ-თქო.

—მოვიტანო, გვიპასუხეს და ამით ამოიწურა ყველაფერი. შემდეგ არჩევნები ჩატარდა და ახალი გამგებელი ავირჩიეთ. ვის მოვთხოვო, არ ვიცი..

სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლალი სიჭინავამ გაზეთ „ალიონთან“ აღნიშნა, რომ ბაკურაძის (მუდღის გვარია) ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში



მყოფი ოჯახია. თავად ხედავთ, სახლს საძირკველი რა მდგომარეობაში აქვს. საჭიროა სხვა დახმარება.

ჩვენ კი მივმართავთ თქვენს მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომ დაინტერესდნენ თამარ შანიძის საკითხით.

## პროექტი „ჩვენ ვერთ სოფლის მატყანეს“

პროექტში "ჩვენ ვერთ სოფლის მატყანეს", რომელიც დაფინანსებულია არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები რეგიონის განვითარებისთვის" და ფონდ "ტასოს" მიერ, მოგვიანებით ჩავერთო.

ჩემი მოგზაურობა მუზეუმიდან დაიწყო. მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა ქალბატონმა მანანა ლომაძემ ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოგვწვლია ექაძის შესახებ. ექაძია ჩემი სოფელია და ძალიან მიყვარს. მეგონა იგი სამიოდე ქუჩას მოიცავდა, თურმე მნიშვნელოვან ტერიტორიებს ფლობდა.

"პატარა მდინარე შკვარაშკურა ორ ნაწილად ყოფს მას. ქვედა და ზედა ექაძიად (ანასუელი).


სოფელი ექაძია და მისი ცალკეული უბნებია: ბასრა, გოშველი, ჯაგვასოული, ანასოული, ვაშტაილი, სარბიკველია, ბეგო, ნაბახჩვარი, ფიხისჯვარი, ლაითური, სპოტიეთი, ტოლაბაკური, ძაბლოვანი."- გვითხრა ქალბატონმა მანანამ. ასევე ძალიან მომეწონა ლეგენდა ექაძის შესახებ:

უძველეს დროში ექაძის ტერიტორია გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული.

საქართველოს მტერი ულვეი ჰყავდა. მტრის რისხვას წარმოადგენდა ვაჟკაცობით სახელგანთქმული ვინმე ქა დ ი ა. მის ძაღლს ლეგენდები დადიოდა. თათრებმა დიდძალი ჯილდო დააწესეს მისი ცოცხლად შეპყრობისათვის. ქადა არ უერთოდა მტერს. მისი საყვარელი სანადირო და დასასვენებელი ადგილი სწორედ ეს გაუვალი ტყე ყოფილა.

რასან ქადასთან პირისპირ შეერა საშიში იყო, მტერმა მისი მიპარვით მოკვლა განიზრახა. მართლაც ჩაუსაფრდნენ და როცა ნადირობით დაღლილი ქადა ერთი დიდი მუხის ძირას ჩამომჯდარი ისვენებდა და ფიქრებს მისცემოდა, სწორედ მაშინ მოხვდა მტრის შხამიანი ისარი. გახარებულმა მკვლელმა მაღალი გორაკიდან გადმოიკიჟინა: "ექადა, ეი. ესეც თქვენი ქადაო". შემდეგ ხალხს მტერი განუდევნია და იმ ადგილას, სადაც ქადა უნახავთ პატარა სამლოცველო აუშენებიათ. იმ გორაკისთვის კი "ქადა" უწოდებთ. ახლა ექადას ეძახიან.

არ ვიცი ეს ლეგენდა თუ მართალი ამბავი, მაგრამ ექადაზე ულამაზესი ტაძარი მართლაც ყოფილა, რომელიც სამწუხაროდ მტერს კი არა ეშმაკმორეულ ექადიელებს დაუნგრევიათ. დღეს ღვთის მადლით და ექადიელი ბიწენს-



მენის მერაბ კონტრიძის კეთილი ნებით ექაძის გორაკზე უმშვენიერესი ტაძარი აღიმართა. რომლის მშენებლობა დაიწყო- 2008 წლის სექტემბერში და დასრულდა- 2014 წლის 31 მაისს (დასასრულებელია სამრეკლო და გალავანი, რომელიც დასრულდება 2015 წლის ზაფხულამდე). პროექტის ავტორებია- ზურაბ გუჯაბიძე, რუზო ჯანაშია.

ახლა კომპანია "გზამშენი" ამ ტაძრისკენ მიმავალ ფართო, ლამაზი გზატკეცილის გასაკეთებლად გულმოდგინედ შრომობს და იმედია ეს ადგილი ოზურგეთის ერთ-ერთი ულამაზესი და კეთილმოწყობილი უბანი გახდება.

მისარია, რომ ამ პროექტის მონაწილე ვარ. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი და ბევრი რამ გავიგე ჩემი სოფლის შესახებ, რომელიც უკვე სოფელი აღარ არის და მალე არავის ეცოდინება, რომ ადრე ეს იყო სოფელი ექადა.

პროექტის მონაწილეები თითქმის ყველა დღე რაიმე ახალსა და საინტერესოს ვეცნობით, თუ დაგაინტერესებთ ეს ისტორიები შეგიძლიათ იხილოთ [soflismatiane.blogspot.com](http://soflismatiane.blogspot.com).

**თამარ ქავთარაძე**

ოსუ სტუდენტი  
 პროექტის მონაწილე



## ყულოცავთ!


„მპროკა-ბეთის“ კოლექტივი ულოცავს თანამშრომელს მარი კვიციანიას ვაჟის შიშინას. ვუსურვებთ ჯანმრთელი და სამშობლოს სასახელო შვილი გაზრდოდეთ.

## ყულოცავთ!

თხინვალის ღირსეულ ადამიანს, კომბს, ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მფარალთა კავშირის წევრს, ბატონ ბალაქტიონ ღლონტს ვულოცავთ დაბადებიდან 88 წელს. ღმერთმა დაგლოცოთ. გისურვებთ სანბრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. თხინვალელთა სახელით, ნოდარ ღონაძე.

## ყულოცავთ!

საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, გურიაში არაერთი ხილისა და სხვა საზოგადო-საინჟინერო პროექტის ავტორს და მშენებელს, ახალგაზრდა მშენებლის მასწავლებელს, საუკეთესო პიროვნებას, მთავრობის არაერთი ჯილდოს მფლობელს ავთანდილ ძნელაძეს დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებთ სანბრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. შპს „გზამშენი 18“-ის კოლექტივი.



**ძირავდება**  
 ბინა თბილისში, ვერაჯი, კვიციანი (ერთი ოთახი დაამოუკიდებელი შესასვლელით). ტელ. (595) 75 65 00 (6160)

**იყიდება**  
 მიწის ნაკვეთი (გაუმჯობესი თხილით). მისამართი: შიშინაძე (ბოში). ტელ. (591) 414 749.

**იყიდება**  
 ქ. ოზურგეთის ცენტრში, გამსახურ-დიას ქ. №28 (სახელმწიფო თეატრთან და რკინიგზის სადგურთან ახლოს) ორსართულიანი, ახალგაზრდა მშენებლის კავშირითი სახლი კარგ მდგომარეობაში. ფასი 50 000 აშშ დოლარი. დარეკეთ: (598) 10 54 45 (ვაჟა დარჩია)

თამარ, დავით მდინარაძეები თანაუგრძობენ მუჯირების ოჯახს **თამაზ მუჯირის** გარდაცვალების გამო.